ნინო მაისურაძე •

მთაწმინდა, როგორც ქართული ეროვნული ცნობიერების კვლავწარმოების მაგალითი ••

ანოტაცია

მთაწმინდის პანთეონი არის მნიშვნელოვანი ეროვნული იდენტობის სიმბოლო. მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონი ოფიციალურად გაიხსნა 1929 წელს. ამ დროისთვის მთაწმინდაზე 53 საფლავია. პანთეონში უფრო მეტი მწერალია დაკრძალული, ვიდრე პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე. აქ განსვენებულნი არიან ის სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწეები, რომლებმაც იბრძოლეს და დიდი წვლილი შეიტანეს საქართველოს დამოუკიდებლობისთვის. ქაქუცა ჩოლოყაშვილი, გიორგი კვინიტაძე, ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა იმ მოღვაწეთა ნაწილს განეკუთვნებიან, რომელთა თავგანწირვის ისტორიების ხაზგასმით, მათი ღვაწლის გახსენებით ხდება ქართული ეროვნული მეხსიერების კვლავწარმოება ყოველი მომდევნო თაობის მიერ. მათი უმეტესობა ემიგრაციაში გარდაიცვალა და მხოლოდ მრავალი წლის შემდეგ გადმოასვენეს საქართველოში. ამ გადმოსვენებას თან ახლდა მოსახსენიებელი პარაკლისები და სამოქალაქო პანაშვიდები, რაც აღვიძებდა ხალხში ჰეროიკულ განცდებს. პანთეონი, რომელშიც ერის წინაშე განსაკუთრებული დამსახურების მქონე პიროვნებები განისვენებენ, სავსეა ამ ადამიანების ისტორიით, მათი თავგანწირვის

• ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მიმართულების დოქტორანტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ასისტენტ-მკვლევარი

•• მოხსენება 2022 წლის 30 ივნისს პოლიტოლოგიის ინსტიტუტის მიერ ჩატარებულ კონფერენციაზე „მეხსიერების პოლიტიკა საქართველოში: წარსული და თანამედროვეობა“

ფაქტებით, რომელთა გახსენება და ინდივიდის მიერ ამ ეროვნული იდენტობის ნიშანთან დაკავშირება ხელს უწყობს ეროვნული მეხსიერების ფორმირებას და ყოველ მომდევნო თაობაში მის კვლავწარმოებას.

საკვანძო სიტყვები: მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონი, ეროვნული ცნობიერება, ეროვნული იდენტობა, ეროვნული მეხსიერება.

ეროვნული ცნობიერება და მისი კვლავწარმოება

მეხსიერება უნდა გავიაზროთ, როგორც სოციუმის განმსაზღვრელი ნიშანი. სოციუმის არსებობისათვის ერთ-ერთი აუცილებელი რესურსი სოციოკულტურულია, ის იმ ნიშან-თვისებათა ერთობლიობაა, რომელიც მოცემულ სოციუმს თვითმყოფადობას, განუმეორებლობას ანიჭებს. სოციოკულტურული რესურსი კულტურული მეხსიერების სახით არსებობს. კულტურული მეხსიერება ენობრივი ფენომენების, ღირებულებების, წესებისა და ნორმებისგან შედგება. იგი თაობიდან თაობას გადაეცემა და ქმნის ეროვნულ ცნობიერების ღერძს (იხ. „მეხსიერება და მისი ფორმები“).

ეროვნული ცნობიერების ბოლო წლების პოპულარული სინონიმია ნაციონალური იდენტობა. დღეს დიდი ინტერესია ეროვნული იდენტობის კვლევებისადმი მიმართული. ამ ცნების მნიშვნელოვან სამუშაო განმარტებას გვთავაზობს ენტონი დ. *სმითი: „ნაციონალური იდენტობა არის ნაციის დამახასიათებელი მემკვიდრეობის შემადგენელ ღირებულებათა, სიმბოლოთა, მახსოვრობათა, მითთა, ტრადიციათა სახეების კვლავწარმოება და რეინტერპრეტაცია ამ სახეებთან და მემკვიდრეობასთან (მისი კულტურული ელემენტებითურთ) ინდივიდების მიერ საკუთარი თავის იდენტიფიკაცია“* (სმითი ე. 2004, გვ.41-42).

ამ განმარტებაში იკვეთება ორი მნიშვნელოვანი ურთიერთმიმართება: 1) ანალიზი კოლექტიურ და ინდივიდუალურ დონეებს

შორის; 2) იდენტობის მუდმივობას და ცვალებადობას შორის. ეს უკანასკნელი კვლევისთვის განსაკუთრებით საყურადღებოა.

შეიძლება ნაციონალური იდენტობის ტერმინმა ისეთი შთაბეჭდილება შექმნას, რომ კოლექტიური კულტურული იდენტობები სტატიკურია. ეს რეალობას არ შეესაბამება. კულტურული იდენტობები ექვემდებარებიან ცვლილებებს და ეს ცვლილებები შეიძლება იყოს, როგორც თანდათანობითი, ასევე უეცარი. კულტურული ცვლილებათა რიტმები უფრო დაბალი სიჩქარით ხასიათდება. ეროვნული იდენტობის ამ განმარტებაში ხაზი აქვს გასმული ნაციის განსაკუთრებული მემკვიდრეობის შემადგენელი ელემენტების „რეინტერპრეტაციას“. ეს პროცესი მოიცავს ადრე არსებული ღირებულებების, სიმბოლოების, მახსოვრობების ხელახალ სელექციას და ყოველი თაობის მიერ ახალი კულტურული ელემენტის შემატებას (სმითი ე. 2004, გვ.44-45).

ნაციონალური იდენტობის ფორმირება და დროში ცვლილება კოლექტიური მეხსიერების საშუალებით ხდება. ეროვნული იდენტობის ფორმირებისთვის აუცილებელია კოლექტივის მიერ „გახსენებითი პრაქტიკების“ გამოყენება. ამ პრაქტიკების სახეებად უნდა გამოვყოთ კულტურის შემადგენელი: მუზეუმები, უცნობი ჯარისკაცის საფლავები, მონუმენტები, ეროვნული დღესასწაულები, პანთეონები... ამ ელემენტების მეშვეობით ხდება კულტურული მეხსიერების გადააზრება, ნაციონალური იდენტობის ფორმირება, თავგანწირვის ფაქტებზე ხაზგასმით ყალიბდება ის „ჰეროიკული“ ხედვა, რომელიც ხშირად გვხვდება ერის მახასიათებლად (განსაკუთრებით იმ ნაციებისთვის, რომლებმაც ახლად მოიპოვეს დამოუკიდებლობა). პანთეონი, სხვა კულტურულ ელემენტებთან ერთად, ხელს უწყობს ეროვნული მეხსიერების ფორმირებას და ყოველ მომდევნო თაობაში მის კვლავწარმოებას.

მთაწმინდაზე დაკრძალული საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლნი

პანთეონი ბერძნული სიტყვაა და ყველა ღმერთს ნიშნავს. ასეთი ტაძრები ძირითადად შენდებოდა ანტიკურ პერიოდში. დღეს მსოფლიოში ბევრი პანთეონი არ არის და მათ რიცხვში თვალშისაცემია საქართველოს პანთეონების რაოდენობა. ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონი ოფიციალურად გაიხსნა 1929 წელს, ალექსანდრე გრიბოედოვის გარდაცვალების მე-100 წლისთავზე. ოფიციალურ გახსნამდე ეს ადგილი უკვე ასრულებდა პანთეონის ფუნქციას, რადგან იქ დაკრძალულნი იყვნენ ქართველი საზოგადო მოღვაწეები. ამ დროისთვის მთაწმინდაზე 53 საფლავია. მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში უფრო მეტი მწერალია დაკრძალული, ვიდრე პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე. ამის მიუხედავად, შეგვიძლია გამოვყოთ მთაწმინდის პანთეონში დაკრძალული ის ქართველი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწეები, როლებიც დაუზოგავად იბრძოდნენ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის (იხ. „პანთეონები“).

ქაქუცა ჩოლოყაშვილი (1888-1930) რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის დღიდან იწყებს ქართველი ერის განმათავისუფლებელ მოძრაობას და ქმნის საქართველოს შეფიცულთა ექვსკაციან ჯგუფს. 1922 წლიდან კი ის იწყებს პარტიზანულ ბრძოლას. თუმცა ქართველ სამხედრო მოღვაწეს მაინც მოუწია საქართველოს დატოვება და თურქეთის საზღვრის გადაკვეთა თანამებრძოლებთან ერთად, შემდეგ კი ქაქუცა ჩოლოყაშვილი საფრანგეთში წავიდა, სადაც 1930 წელს გარდაიცვალა. მხოლოდ 2005 წლის 20 ნოემბერს მოხერხდა მისი გადმოსვენება ლევილიდან, ქართველთა საძმო სასაფლაოდან, თბილისში. 2005 წლის 21 ნოემბერს კი ის დაიკრძალა მთაწმინდის პანთეონში. მხოლოდ 75 წლის შემდეგ დაუბრუნდა ქართველი მებრძოლის ნეშტი მშობლიურ მიწას (იხ. „ქაქუცა ჩოლოყაშვილი“).

ქაქუცა ჩოლოყაშვილის მსგავსად გიორგი კვინიტაძის (1874-1970) ნეშტიც უცხოეთიდან გადმოასვენეს მთაწმინდის პანთეონში. გიორგი კვინიტაძე იყო ბოლო მთავარსარდალი, რომელიც ხელმძღვანელობდა საქართველოს პირველი რესპუბლიკის ჯარს 1921 წელს. მისი დამსახურება იყო 1919 წელს იუნკერთა სასწავლებლის შექმნა. გენერალი საფრანგეთში ემიგრაციაში მეუღლესთან, მცირეწლოვან შვილებთან და ბავშვების ძიძასთან ერთად წავიდა. ის შატუში დასახლდა, სადაც 1970 წელს გარდაიცვალა კიდეც. ქართველი სამხედრო მოღვაწე შატუს სასაფლაოზე იყო დაკრძალული. მისი ნეშტი 2021 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, გადმოასვენეს ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში (იხ. „ქართველები უცხოეთში“).

ზვიად გამსახურდია (1939-1993) საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი და საქართველოს პირველი პრეზიდენტი იყო. სამხედრო გადატრიალების შემდეგ პრეზიდენტი იძულებული გახდა სომხეთის გავლით ჩეჩნეთში გადასულიყო, სადაც მას ჯოხარ დუდაევის მთავრობამ თავშესაფარი მისცა. 1993 წელს ზვიად გამსახურდია დაბრუნდა საქართველოში, სამეგრელოში. 1993 წლის დასასრულს ზვიად გამსახურდია დაიღუპა სოფელ ხიბულაში, პრეზიდენტი დაკრძალეს სოფელ ჯიხაშკარში, თუმცა მალევე 1994 წლის თებერვალში გადაასვენეს გროზნოში. 2007 წლის მარტის დასაწყისში პრეზიდენტის საფლავი აღმოაჩინეს ქალაქის ცენტრში და ცხედარი 2007 წლის 28 მარტსვე ჩამოასვენეს საქართველოში. 1 აპრილს ზვიად გამსახურდია დაასაფლავეს ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში (იხ. „ზვიად გამსახურდია“).

მერაბ კოსტავა (1939-1989) საქართველოს თავისუფლებისთვის მებრძოლი, ეროვნული მოძრაობის ლიდერი იყო, რომელსაც 2013 წელს საქართველოს ეროვნული გმირის წოდებაც მიენიჭა. 1989 წლის 13 ოქტომბერს ქუთაისიდან თბილისში მომავალი მერაბ კოს-

ტავა სოფელ ბორითთან ტრაგიკულად დაიღუპა. ის იმ მოღვაწეთა რიგშია, რომელიც თავდაპირველადვე დაკრძალეს ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში (იხ. „მერაბ კოსტავა“).

ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში განსვენებულ საქართველოს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლთა ეს ისტორიებიც ნათლად ასახავს მთლიანად ქვეყნის ისტორიას. მათი უმეტესობა ემიგრაციაში გარდაიცვალა და მხოლოდ მრავალი წლის შემდეგ დაუბრუნდა საქართველოს მიწას. თითოეული მათგანის გადმოსვენებას თან ახლდა მოსახსენიებელი პარაკლისები და სამოქალაქო პანაშვიდები, რის შემდეგაც ხდებოდა მათი დაკრძალვა ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში.

დასკვნა

მთაწმინდის პანთეონი ეროვნული ცნობიერების კვლავწარმოების მნიშვნელოვანი წყაროა. თუ ვისაუბრებთ იქ დაკრძალულ პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეებზე ვნახავთ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლთა ნაწილი გარდაიცვალა ემიგრაციაში და წლების შემდეგ მოხერხდა მათი პანთეონში დაკრძალვა. რადგან ქართველი ერის წინაშე განსაკუთრებული დამსახურების მქონე ადამიანების გადმოსვენებას სამშობლოში და პანთეონში დაკრძალვას თან ახლდა რიტუალები - პარაკლისები და სამოქალაქო პანაშვიდები, რომლის დროსაც ერი ერთიანდებოდა საერთო მიზნით, იგებდა მეტს ჩამოსვენებულ მოღვაწეზე, პატივს მიაგებდა მის ღვაწლს. ეს იყო სოლიდარობის განცდის გაძლიერების მომენტები, რომელშიც ჩართული ინდივიდები უკავშირდებოდნენ და გადაიაზრებდნენ ეროვნულ იდენტობას ხელახლა.

ბიბლიოგრაფია

ენტონი დ. სმითი, 2004 „ნაციონალიზმი; თეორია, იდეოლოგია, ისტორია“, თბილისი, ქართული ენის საერთაშორისო ცენტრი.

„მეხსიერება და მისი ფორმები“, http://tandaschwili.com/thema-3/%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%AE%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A0%1%83%94%E1%83%91%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%98%E1%83A1%E1%83%98-%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%94

(12.09.2009), „მერაბ კოსტავა - ბიოგრაფია“, https://burusi.wordpress.com/2009/09/12/merab-kostava-10/

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, „ქაქუცა ჩოლოყაშვილი“, https://history.mod.gov.ge/ge/page/47/qaquca-choloyashvili

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, „ქართველები უცხოეთში“, http://www.nplg.gov.ge/emigrants/ka/00000367/

საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალური ვებგვერდი, „ზვიად გამსახურდია“, https://www.president.gov.ge/ka/SinglePage/LoadSinglePageContent?menuId=257

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია, „პანთეონები“, https://tbilisi.gov.ge/page/panteoni

Nino Maisuradze

Mtatsminda, an example of the reproduction of Georgian national consciousness

Abstract

The Mtatsminda Pantheon is an important symbol of national identity. The Mtatsminda Pantheon of Writers and Public Figures was officially opened in 1929. On Mtatsminda, there are currently 53 tombs. The Pantheon contains the graves of more writers than political and military figures. The military and political figures who fought for and contributed significantly to Georgia's independence are honored here. Kakutsa Cholokashvili, Giorgi Kvinitadze, Zviad Gamsakhurdia, and Merab Kostava are among those mentioned. Georgian national memory is reproduced by every second generation by highlighting their stories of self-sacrifice and remembering their merits. The majority of them died in emigration and were only reburied in Georgia many years later. Each of them was transferred by commemorative prayers and civil funerals, which instilled heroic feelings in the people. The Pantheon, where individuals with special merits before the nation rest, is rich in the history of these people, the facts of their sacrifice, whose remembrance and connection by the individual with this symbol of national identity contributes to the formation of national memory and its reproduction in each succeeding generation.

Keywords: The Mtatsminda Pantheon of Writers and Public Figures, national consciousness, national identity, national memory.